

განხორციელების ხელშეკრულება

ტყიბულის მუნიციპალიტეტში თბოელექტროსადგურის
მშენებლობისა და ექსპლუატაციის თაობაზე

ქ. თბილისი

“16” ნოემბერი, 2015 წელი.

წინამდებარე განხორციელების ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) ტყიბულის რაიონში ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე საქართველოს კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გაფორმებულია შემდეგ მხარეებს შორის:

საქართველოს მთავრობა, შემდგომში წოდებული როგორც „მთავრობა“, წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახა კალაძის სახით,

შპს „საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)“, შემდგომში წოდებული როგორც „კომპანია“, საიდენტიფიკაციო კოდი: 230868120, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვახტანგ ჩხეიძის სახით, და

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“, შემდგომში წოდებული როგორც „ესკო“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვახტანგ ამბოკაძის სახით.

პრეამბულა:

ვინაიდან ტყიბულის მუნიციპალიტეტში, ქალაქ ტყიბულში კომპანიის მიერ ხორციელდება 13.2 მვტ სიმძლავრის მქონე ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობა (შემდგომში „პროექტი“) და წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის პროექტის დასრულების უზრუნველყოფის მიზნით კომპანიის მიერ შესრულებულია რიგი სამუშაოები,

და ვინაიდან პროექტის სრულად განხორციელების მიზნით მხარეები გამოთქვამენ სურვილს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრონ თავიანთი უფლება-მოვალეობები,

ამჟამად მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად კომპანია უფლებამოსილი იქნება დაასრულოს პროექტი და მოიპოვოს მასზე მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების უფლება.

1. მიზანი

- 1.1 წინამდებარე ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს მხარეთა თანამშრომლობა, რათა პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით მხარეთა შორის ჩამოყალიბდეს შეთანხმების მთავარი საფუძვლები და განისაზღვროს მხარეთა უფლება-მოვალეობები;
- 1.2 ხელშეკრულების 1.1 პუნქტით განსაზღვრული მიზნით ხელშეკრულების პირობები განსაზღვრავს კომპანიის მიერ პროექტის განხორციელების პირობებს, ვადებსა და სხვა დამატებით საკითხებს.

2. ტერმინთა განმარტებები

- 2.1. ამ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
 - 2.1.1. „შესყიდვის პერიოდი“ – 2015 წლის 1 დეკემბრიდან (მაგრამ არაუადრეს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ წარმოების ლიცენზიის გაცემის დღისა) 2025 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით, ყოველი კალენდარული წლის იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი.
 - 2.2. ამ ხელშეკრულებაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებში“ გამოყენებულ ტერმინებს.
- ## 3. პროექტის საგანი, ვადები და პირობები
- 3.1 კომპანია უზრუნველყოფს პროექტის განხორციელებას, რაც მოიცავს ტყიბულში ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობას, ფლობასა და ოპერირებას (ექსპლუატაციას), ამავე ხელშეკრულების 3.2 პუნქტით განსაზღვრული პარამეტრების დაცვით;
 - 3.2 ტყიბულის ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის (შემდგომში „პროექტი“ ან/და „ობიექტი“) ძირითადი პარამეტრები განისაზღვრება შემდეგნაირად:
 - ა) ადგილმდებარეობა - ტყიბულის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ტყიბული;
 - ბ) ობიექტის კოორდინატები - საკადასტრო კოდი 39.01.29.010;
 - გ) სავარაუდო დადგმული სიმძლავრე - 13.2 მგვტ
 - დ) გენერაციისათვის გამოსაყენებელი ნედლეული - მხოლოდ საქართველოში მოპოვებული ქვანახშირი;
 - ე) მშენებლობის დასრულებისა და სადგურის ექსპლუატაციაში მიღების ვადა - არაუგვიანეს 2015 წლის 31 დეკემბრისა.

4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

- 4.1. პროექტის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით კომპანია:
 - 4.1.1. უზრუნველყოფს ობიექტის მშენებლობას, ოპერირებასა და ფლობას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადებისა და პირობების დაცვით;
 - 4.1.2. ობიექტის მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის მიზნით უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საჭირო ლიცენზიებისა და ნებართვების მოპოვებას;

4.1.3. კისრულობს ვალდებულებას მასზედ, რომ პროექტის განხორციელებას უზრუნველყოფს ტექნიკურ-ეკონომიკური და სამართლებრივი პირობების დაცვით;

4.1.4. ვალდებულია ქვეყნის ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით შესყიდვის პერიოდში გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული მოცულობის ექსკლუზიური რეალიზაცია განხორციელოს ესკო-ზე, რაც აისახება შესაბამისი წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსში ან/და სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტში. ხოლო დარჩენილი ოთხი (4) თვის განმავლობაში, კერძოდ ყოველი წლის 1 მაისიდან 1 სექტემბრამდე პერიოდში გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული მოცულობის რეალიზაცია შესაძლოა განხორციელდეს ნებისმიერ პირზე კომპანიის შეხედულებისამებრ;

4.1.5. უფლებამოსილია შესყიდვის პერიოდის შემდგომ წლის ნებისმიერ პერიოდში თავისუფლად განახორციელოს ელექტროენერჯის მყიდველის არჩევა როგორც ქვეყნის შიდა ბაზარზე, აგრეთვე ექსპორტის მიზნებისათვის და განახორციელოს ელექტროენერჯით ვაჭრობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.2. პროექტის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით კომპეტენციის ფარგლებში ესკო ვალდებულია:

4.2.1. ობიექტის შესყიდვის პერიოდში კომპანიისაგან შეისყიდოს ობიექტის მიერ ამ პერიოდში გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული მოცულობა, რომელიც აისახება შესაბამისი წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსში ან/და სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტში;

4.2.2. ამ ხელშეკრულების 4.2.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით კომპანიასთან უზრუნველყოს ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმება;

4.2.3. ამ ხელშეკრულებითა და მის საფუძველზე გაფორმებული ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე ესკოს მიერ შესასყიდი ელექტროენერჯის ფასი შესყიდვის პერიოდის პირველი კალენდარული წლიდან 1 კვტ-სთ-სათვის განისაზღვრება 5.9 აშშ ცენტის ოდენობით, ხოლო ელექტროენერჯის ფასი 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ყოველი მომდევნო წლისთვის გაიზრდება 2%-ის ოდენობით გასული წლის ფასთან შედარებით. იმ შემთხვევაში თუ ობიექტი განსაზღვრული იქნება როგორც გარანტირებული სიმძლავრის წყარო, მაშინ ელექტროენერჯის ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი ტარიფით;

4.2.4. ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად ესკო ვალდებულია კომპანიისაგან გარანტირებულად შეისყიდოს და გადაუხადოს გამომუშავებული ელექტროენერჯის ღირებულება შესყიდვის პერიოდის განმავლობაში; იმ შემთხვევაში, თუ ესკოს მიერ სრულად ვერ იქნება უზრუნველყოფილი ამ მუხლით განსაზღვრული პირობებით გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული მოცულობის შესყიდვა, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს კომპანიას ამის შედეგად მიუღებელი შემოსავალი.

5. პროექტის ხარჯები

5.1. პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების სრულად გაღების ვალდებულება ეკისრება კომპანიას;

6. ხელშეკრულების მოქმედება

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და ძალაშია მხარეთა მიერ ნაკისრი ურთიერთვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

6.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

ბ) კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა და მთავრობის მიერ განსაზღვრულ დამატებით ვადაში ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში;

6.3 ამ ხელშეკრულების 6.2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ 3 (სამი) კალენდარული თვით ადრე;

6.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს მთავრობა კომპანიას განუსაზღვრავს დამატებით გონივრულ ვადას ხარვეზის აღმოუფხვრის მიზნით. ვადა არ უნდა იყოს 60 (სამოცი) კალენდარულ დღეზე მეტი.

7. ცვლილებები და დამატებები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების ცალკეული დებულება შეიძლება შეიცვალოს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. თუ ხელშეკრულების რომელიმე დებულება ძალას დაკარგავს, ეს არ იმოქმედებს მემორანდუმის სხვა დებულებებზე.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი წერილობით გაფორმების მომენტიდან.

8. შეტყობინებები

8.1 მხარეების მიერ გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და გაიგზავნოს ფოსტით ან კურიერის მეშვეობით.

8.2. შეტყობინება შევა ძალაში დაუყოვნებლივ მიმღების მიერ მისი მიღებისთანავე.

9. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების მოგვარება

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია და ის და მისგან გამომდინარე ყველა სამართლებრივი გარემოება, რაც პირდაპირ არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.




9.2. ყველა დავა, რომელიც წარმოიშვება წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მათი გადაწყვეტა მხარეთა მოლაპარაკებების პროცესში ვერ განხორციელდა წარმოშობიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში,


გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ასლები, ხელშეკრულების ენა

10.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად - თითო ეგზემპლარი მხარეებისათვის.

მხარეთა ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა	ესკო	კომპანია
საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრი  კახა კალაძე	სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“, გენერალური დირექტორი  ვახტანგ ამბოვაძე	შპს „საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი), გენერალური დირექტორი  ვახტანგ რხვიანი



საქართველოს მთავრობის ბანაკარგულეა


№2323 2015 წლის 28 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „საქნახშირსა (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)“ და
სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის
დასაადები განხორციელების ხელშეკრულების თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „საქნახშირსა (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასაადები განხორციელების ხელშეკრულების პროექტი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელების ხელშეკრულებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი დარიბაშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010120995736915

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgiasli str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36; E-MAIL: info@justice.gov.ge

№6663

25 / აგვისტო / 2015 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის
მოადგილეს,
ბატონ ირაკლი ხმაღაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2015 წლის 17 აგვისტოს №04/3122 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, შპს „საქნახშირსა“ და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები განხორციელების ხელშეკრულების პროექტი, რომელთან დაკავშირებით გაგნობებთ შემდეგს:

მხარეთა თანასწორობის პრინციპებს გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ხელშეკრულების პროექტის 3.2.4 მუხლით დადგენილი „მიღე ან გადაიხადე“ პრინციპი თანაბრად გაერყვოდეს ხელშეკრულების მხარეებზე. კერძოდ, მუხლის ფარგლებში მიზანშეწონილია, განისაზღვროს, რომ, თუ კომპანია ვერ უზრუნველყოფს შეთანხმებული პერიოდში სადგურის დადგმული სიმძლავრის შესაბამისად ელექტროენერჯიის სრული მიწოდების მიწოდებას ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორისთვის, იგი ვალდებულია, აუნაზღაუროს ესკო-ს ამის შედეგად მიყენებული ზიანი.

პატივისცემით,

გ. დიმიტრაშვილი

მინისტრის მოადგილე

გომა ლორთქიფანიძე



ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/906
10/09/2015

906-01-2-201509101453



საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2015 წლის 10 სექტემბრის N04/3387 წერილით პასუხად გაცნობებთ, რომ მხარეებს შორის დასადები განხორციელების ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გაგვაჩნია.

ზაზა დვალისვილი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE

სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 07.08.2006; საიდ. კოდი 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036